20/06/2025

MES 9 25 0000716409

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს მდივანი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კერძო სკოლა ალმასი:
სოფიკო გორგაძე - სკოლის საქმეთა მმართველი
სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლა:
მანანა ხობელია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლა:
ნანა სარალიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა:
მარიამ დოლიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლა:
ნინო გახარია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლა:
ქეთევან გვარჯალაძე-გორგოშაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლა:
მაკა კოპაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა:
ფატმან გურეშიძე - სკოლის დირექტორი
შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისი:
არჩილ სუმბაძე - სკოლის დირექტორი
შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“:
დავით ბაბულეიშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე;
ნათია ბრეგაძე - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისი:
ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინი კეპულაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 06 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ
აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს სხდომას ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, შესაბამისად , 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის მდივნის ფუნქცია შეასრულა საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2.სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3.სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4.სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5.სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6.სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

7.სსიპ- ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8.შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
9.შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“ - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს 2025 წლის 13 ივნისის N664441 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს კერძო სკოლა ალმასს გაუუქმდა ავტორიზაცია. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 15 ივნისი. საბჭოს N660839 სხდომის ოქმის მეცხრე ნაწილში, რომელიც ზემოხსენებული გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად იქნა ცნობილი, ძალაში შესვლის თარიღად დაფიქსირებულია 2025 წლის 15 ივნისი, ხოლო N664441 გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და ძალაში შეცვლის თარიღად მითითებულია 2024 წლის 15 ივნისი.
ამასთან ერთად, ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს წერილობით მიმართა შპს კერძო სკოლა ალმასმა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღის ცვლილებასთან (გაზრდა) დაკავშირებით.
აქედან გამომდინარე, საბჭოს წინაშე დაყენებულ იქნა შუამდგომლობა, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცვლილების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით და აღინიშნა, რომ ცვლილების საკითხის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული ხარვეზიც გასწორდებოდა.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს „შპს კერძო სკოლა ალმასისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ 2025 წლის 13 ივნისის N664441 გადაწყვეტილებაში ცვლილების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

8. სსიპ- ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
10. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“ - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს „შპს კერძო სკოლა ალმასისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ 2025 წლის 13 ივნისის N664441 გადაწყვეტილებაში ცვლილების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება წერილით ითხოვდა ძალაში შეცვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2025 წლის 15 ივლისი, ვინაიდან მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, შეუფერხებლად განხორციელებულიყო მათი მობილობა სხვა სკოლებში.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მიერ გადამოწმდა სკოლის წარმომადგენლის უფლებამოსილება და დაწესებულებას წარმოადგენდა სოფიკო გოგრაძე.
სკოლის საქმეთა მმართველმა სოფიკო გორგაძემ, აღნიშნა, რომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა საჭიროებდა მეტ დროს და ვერ მოასწრებდნენ 15 ივნისამდე ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 13 ივნისის N664441 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:05
დასრულების დრო: 14:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს „შპს კერძო სკოლა ალმასისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ 2025 წლის 13 ივნისის N664441 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია, 2025 წლის 15 ივლისი.“

2. სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 02 ნოემბრის N1484192 ოქმის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მიწერილობა შესაბამის ორგანოსთან, უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, მანანა ხობელიას განმარტებით, შეფასების ვერიფიკაციების მექანიზმებთან დაკავშირებული რეკომენდაცია შესრულებული ჰქონდათ, საევაკუაციო გეგმასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის, რომლის მითითებითაც აღნიშნული კიბე არ ექვემდებარებოდა შეკეთებას და საჭიროებს დემონტაჟს, ასევე, შეთანხმებული ჰქონდათ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სხვა მიმართულებით კი რეკომენდაცია არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 02 ნოემბრის N1484192 ოქმის 1-ელ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:13
დასრულების დრო: 14:16

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 02 ნოემბრის N1484192 ოქმის 1-ელ ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

3.სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ნანა სარალიძის განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით ხარჯთაღრიცხვა გადაგზავნილი ჰქონდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოში, ხოლო შენობა-ნაგებობის მდგრადობასთან დაკავშირებით ცენტრში გადმოგზავნილი ჰქონდათ დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:19
დასრულების დრო: 14:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

4. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 30 ოქტომბრის N1460129 ოქმის მე-6 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე სკოლის ვიდეო სათვალთვალო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა(რომელშიც ასახული იყო, რომ სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს და სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები) სკოლის ვიდეო სათვალთვალო სისტემით აღჭურვის მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, მარიამ დოლიძის განმარტებით, სამივე რეკომენდაცია შესრულებული ჰქონდა დაწესებულებას, აღჭურვეს სკოლა ვიდეო სათვალთვალო კამერებით, მოიპოვეს შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ჰქონდათ გამოსწორებული და გათვალისწინებული, თუმცა შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულება ცენტრში არ იყო წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთისსაჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N1460129 ოქმის მე-6 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:30

დასრულების დრო: 14:36

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N1460129 ოქმის მე-6 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ოქტომბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

5.სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა თანამშრომელთა ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, შენობის საევაკუაციო გეგმით განსაზღვრული რაოდენობის ცეცხლმაქრებით, პანდუსით/ლიფტით აღჭურვის და სველი წერტილების ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა თანამშრომელთა ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, შენობის პანდუსით/ლიფტით აღჭურვის და სველი წერტილების ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ნინო გახარიას თქმით, წარმოადგინეს სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. აქვე, დასძინა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის ფინანსური რესურსით მოეწყო საევაკუაციო გასასვლელების მანიშნებლები და ცეცხლმაქრები, სხვა ინფრასტრუქტურულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, მდგრადობის დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გადადგმული ჰქონდათ თუ არა რაიმე სახის ნაბიჯი.
სკოლის დირექტორის განმარტებით, ჰქონდათ მიწერილობა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, პანდუსით/ლიფტით აღჭურვის და სველი წერტილების ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:48
დასრულების დრო: 14:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-8 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

6.სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობები, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ქეთევან გორგოშაძის განმარტებით, წარმოადგინეს სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. მისი თქმით, მოაწყეს რესურს ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თუმცა, ვინაიდან შენობა-ნაგებობის მდგრადობის დოკუმენტაციას ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის განსხვავებული ვადის განსაზღვრა.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომელიც არ იყო შესრულებული (ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:02
დასრულების დრო: 15:07

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-9 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის დეკემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის მაისი.
ხოლო, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენის ვადად განუსაზღვრა 2025 წლის ივნისი.

7.სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2024 წლის 10 ოქტომბრის N1246499 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2026 წლის სექტემბრიდან ცენტრში წარმოედგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ უწყებასთან, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟებისა და ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, პანდუსის დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტო-მასალა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ უწყებასთან და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ადაპტირებული სველი წერტილისა და რესურსოთახის მოწყობის მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებისთვის თანხის გამოყოფის მიზნით, მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის, ასევე, მოპოვებული ჰქონდათ შენობის მდგრადობის შესახებ დადებითი დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და რომლებიც არ იყო შესრულებული (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ადაპტირებული სველი წერტილისა და რესურსოთახის მოწყობა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1246499 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:12
დასრულების დრო: 15:16

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის N1246499 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2026 წლის სექტემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

8.სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა 2020 წლიდან დასაქმებული თანამშრომლების სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის მდგრადობის დადებითი დასკვნა, ცნობები და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობასთან დაკავშირებით შემოწმების აქტი(რომელშიც ასახული იყო, რომ სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს და სკოლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები)
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, განმარტებით, სკოლის შენობა იყო ახლადაშენებული და საბჭოს მხრიდან განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია ჰქონდათ სრულად შესრულებული, თუმცა,არ ჰქონდათ წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით გაცემული რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნა) სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:22
დასრულების დრო: 15:27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11

დეკემბრის N1688623 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებას შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებად, ნაცვლად 2024 წლის ნოემბრამდე, განესაზღვროს 2027 წლის ივნისი.

9. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 მაისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადი.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, განმარტა, რომ ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების ფართის ცვლილება. კერძოდ, 2023 წელს შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისმა“ შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებით დაიმატა ახალი ფართი ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის N1-ში. 2024 წელს შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ დამფუძნებელთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაეფუძნებინა ახალი შპს „ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე“, სკოლის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურით - ქალაქ თბილისში, მარშალ არჩილ გელოვანის N1-ში, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავდა, როგორც დამოუკიდებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ავტორიზაციის მიზნით, ახლად დაფუძნებულმა შპს „ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე“-მ, მიმართა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ მიენიჭა ავტორიზაცია. ექსპერტის თქმით, ზემოთ აღწერილი პროცესის შედეგად შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის ორი მისამართიდან ერთი გადავიდა ახალი შპს-ის („ბაქსვუდის სკოლა-გელოვანზე“) მფლობელობაში, რაც კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოშობდა ვალდებულებას შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისისათვის“, გაევლო ფართის ცვლილების პროცედურა.ექსპერტის, მანანა ალიბეგაშვილის განმარტებით, აღნიშნული წარმოების წარმატებით გავლის შემთხვევაში, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისი“ დაუბრუნდებოდა 2023 წლამდე არსებულ მოცემულობას და ფუნქციონირებას გააგრძელებდა თავდაპირველ მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთი, რუსთაველის N156-ში. აქვე, ექსპერტმა, დასძინა, რომ წყნეთის მისამართთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების შემდგომ, აღნიშნულ მისამართზე რაიმე სახის ინფრასტრუქტურული ცვლილება აღარ განხორციელებულა.
ექსპერტის, მანანა ალიბეგაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული წარმოებების ფარგლებში დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის (მე-3 სტანდარტი) პირობების შესრულების შემოწმება.

ექსპერტის თქმით, აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით (შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და სხვა).
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, არჩილ სუმბაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი იყო კონსტრუქციული, სკოლისთვის ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება არ იყო ახალი, თუმცა აღნიშნული ეხმარებოდა სკოლას განვითარებაში და ყოველთვის ცდილობდნენ პროცესებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.
საბჭოს მდივანმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო ის ფაქტი, რომ მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, საგანმანათლებლო სერვისები მიეღოთ მსგავს ჯანსაღ გარემოში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:36
დასრულების დრო: 15:43

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის (ს/კ: 205089526) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შემდეგ მისამართზე:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, წყნეთი, რუსთაველის #156
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, წყნეთი, რუსთაველის #156
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, წყნეთი, რუსთაველის #156

10. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“ - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მიერ გადამოწმდა სკოლის წარმომადგენლის უფლებამოსილება და დაწესებულებას წარმოადგენდა სკოლის დირექტორის მოადგილე დავით ბაბულეიშვილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 31 ოქტომბერსა და 01 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით ვიზიტის დროს დაწესებულებაში ირიცხებოდა 208 მოსწავლე.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც სრულად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ასევე, დასკვნაში ასახული იყო თითოეული ხარვეზი.

ექსპერტის თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან დაწესებულებისთვის 2022 წელს გაცემული იყო გარკვეული რეკომენდაციები, აღნიშნული შეამოწმა ექსპერტთა ჯგუფმა და აღნიშნა, რომ მათი ნაწილი იყო შესრულებული, ხოლო ნაწილი კვლავ რჩებოდა ხარვეზად.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორიები, გარე სპორტული მოედანი და შიდა სპორტული დარბაზი, რესურს ოთახი, სააქტო დარბაზი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა 2022 წელს გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინათ, ჩაკეტილი იყო თუ არა ის ოთახი, სადაც მდებარეობდა აალებადი ნივთიერებები.

ექსპერტმა, ია ქურიძემ, დაადასტურა, რომ აღნიშნული სივრცე იყო ჩაკეტილი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რამ შეუშალა დაწესებულებას ხელი, რომ შეესრულებინათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან 2022 წელს გაცემული რეკომენდაციები. ასევე მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რატომ ჰქონდათ თანამშრომლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ხარვეზები.

სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის, ნათია ბრეგაძის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა სკოლის როგორც შინაარსობრივი, ასევე, ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილ ხარვეზებს. მისი თქმით, ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ აქტიურად დაიწყო მუშაობა იმ ხარვეზების გამოსასწორებლად, რომელიც მიეცათ ექსპერტების მხრიდან. აქვე, აღნიშნა, რომ ის ოთახი, სადაც ინახებოდა აალებადი ნივთიერებები იყო ჩაკეტილი და მასთან წვდომა არ ჰქონდათ მოსწავლეებს, თუმცა, აპირებდნენ ისეთი ცვლილებების განხორციელებას, რომელიც მაქსიმალურად იყო დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებთან. მისი თქმით, მასწავლებელთა კვალიფიკაცია ნამდვილად წარმოადგენდა დაწესებულების პრობლემას, თუმცა, დეკემბრის თვიდან მიმდინარეობდა რეგულარული სამუშაო შეხვედრები, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი კი დარეგისტრირებული იყო შესაბამისი საგნის გამოცდაზე და პარალელურ რეჟიმში გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია.

სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით, აქტიური მუშაობა დაწესებულებამ დაიწყო დეკემბრის თვიდან, ხოლო, მანამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა გასაუბრებები, თუმცა, ვერ შეირჩა შესაბამისი კვალიფიციური თანამშრომელი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ ყველაზე დიდ გამოწვევად მიიჩნევდა მასწავლებლების საკითხს, რომელიც ფაქტობრივად არ ჰყავდა სკოლას და დაინტერესდა, წინა წლების განმავლობაში როგორ ახორციელებდა დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას.

სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის, ნათია ბრეგაძის განმარტებით მისი სკოლაში დანიშვნისთანავე დაიწყეს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა და შეადგინეს ერთწლიანი სამუშაო გეგმა, თუ როგორ შეიძლებოდა მასწავლებელთა ხელშეწყობა და შეეძლო წარმოედგინა იმ სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც განხორციელდა ამ მიმართულებით.

სკოლის დირექტორის მოადგილის თქმით, იმ ორ მასწავლებელს, რომლებიც ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, ჰქონდათ ბიბლიოთეკარის დიპლომი. მისი განმარტებით, სკოლის დაარსების დღიდან აღნიშნული მასწავლებლები ასწავლიდნენ ზემოაღნიშნულ მიმართულებას და მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდათ ოფიციალურად დადასტურებული კვალიფიკაცია, ხარისხიანად ართმევდნენ თავს საგნის სწავლებას, თუმცა, დარეგისტრირებული იყვნენ მასწავლებლის გამოცდებზე და შეძლებდნენ კვალიფიკაციის დადასტურებას.
საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა რა ფინანსური რესურსით გეგმავდა სკოლა აქტივობების განხორციელებას და არ ჰქონდათ 2024-2025 სასწავლო წლების შემოსავლებისა და ხარჯის ამსახველი სკოლის ბიუჯეტი და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი.
სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით, აღნიშნული შედგენილი ჰქონდათ, თუმცა, არ იყო წარმოდგენილი ცენტრში.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა ექსპერტს, მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის მშობლებთან გასაუბრების შედეგების შესახებ.
აქვე, საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო არაფორმალური განათლების მიმართულებით დაწესებულებაში.
ექსპერტის, ია ქურიძის განმარტებით, ინტერვიუები განახორციელეს როგორც მშობლებთან და მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან. მისი თქმით, სასკოლო საზოგადოება იყო ძალიან კმაყოფილი. არაფორმალურ განათლებასთან მიმართებით კი, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო სხვადასხვა მიმართულების წრეები, მათ შორის, ჭადრაკის, ეწყობოდა საზაფხულო ბანაკები და სხვა.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გეგმა, რომლითაც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, აღნიშნა, რომ ოფიციალურად დოკუმენტურად გაწერილი გეგმა არ ჰქონდათ, თუმცა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა არც სახელფასო და არც სახელმწიფოს მიმართ ფინანსური დავალიანება, აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, ია ქურიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:38
დასრულების დრო 16:53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცას“ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცას“ (სკ: 216305200) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის მაისიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

საბჭოს სხდომის მდივანი ნონა ჩუბინიძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე